

1912—1913

№ 1.

# თეატრი

ყოველ კვირული სურათიანი ალმანახი.

რედაქცია იმყოფება ქართულ თეატრში.

ქართული 1912 თეატრი.



გ. იშხელი.



9534

კვირა 28

ოქტომბერი

კადალგურვისა

I.

## განთავისუფლებული მონები.

3 მოქ. თარგმ. ფანცხავასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სალამოს 8 -სათზე.

ღირეკცია ქუთ. ქართ. დრამატ. საზოგადოებისა;

რეჟისორი მ. ქორელი.

მორიგი წევრი გამგეობისა კ. კაჭახიძე

ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე



საქმანსი საქმანსი 'რეპრეზენტაცია' ოცნებების

Городъ Кутаисъ 1912 Городской театръ  
ВЪ ПОНЕДѢЛЬНИКЪ 29 ОКТЯБРЯ труппой Тифлискаго  
драматическаго театра (Артистическое общество)

дирекція П. О. ЗАРЪЧНАГО

Представлено будетъ въ первый разъ

Новая пьеса изъ интендантской жизни

ПЕСКИ СЫПУЧІЕ

въ 4-х дѣйствіяхъ соч. Сергѣя Гарина.

Участвующіе: г-жи М. Ф. Казанская, М. М. Кодрянь, М. И. Лепетичъ, Н. П. Мануйлова,  
Е. А. Орлова, А. Е. Саенко; г-да Г. П. Ардаровъ, Г. Е. Аркадьевъ, Н. П. Бѣляевъ, В. В.  
Варнаковъ, Г. Б. Кудрявцевъ, А. Г. Лѣсногорскій, И. И. Майскій, Н. Л. Павловъ, А. Г.  
Ровный, В. А. Савельевъ, А. В. Свѣтловскій, А. А. Тугановъ, В. М. Чернявскій.

Начало въ 8 час. вечера Режиссеръ А. А. Тугановъ

Билеты продаются въ кассѣ театра отъ 11 час. до 2 час. дня и отъ 5 до  
окончанія спектакля администраторъ А. В. Свѣтловскій

Въ Среду 31 октября 1912 года

Третій спектакль Батумской труппы русск. драматич. артистовъ

дирекція А. И. КАШИРИНА

ПРЕДСТАВЛЕНА БУДЕТЪ

Сенсаціонная пьеса изъ военной жизни Русско-Японской войны.

Боевые товарищи

Пьеса въ 4-хъ дѣйств. соч. Тарскаго и Бавко

Участвуютъ: г-жи Нечаева, Болотная, Ковалева, Рошко и Шейндель, г-г Гундобинъ Дубро-  
винъ, Грезовъ, Звѣздичъ, Ивановъ, Петипа, Тольскій, Шиловъ, Франкъ и Сокольскій

Пьеса прошла 42 раза въ театрѣ литературно-художест., въ  
Петербургѣ 54 раза

Начало въ 8 часовъ вечера

Билеты продаются въ кассѣ театра ежедневно отъ 11 часовъ до 2-хъ и  
отъ 5-ти до 8-ми часовъ вечера



## მორიგი წარმოდგენები.

**განთავისუფლებული მონები.** შ მოქმედებიანი კომედია კადელბურგისა.

კადელბურგი ფრიად ცნობილი დრამატურგია, განსაკუთრებით კომედიების წერაში გაითქვა და მოიხვეჭა სახელი. მისი კომედიები არა ერთხელ დადგმულა რუსეთის სცენებზე და ყოველთვის მხიარულება და საღი სიცილი გამოუწვევია მაყურებლებში. „განთავისუფლებული მონებიც“ კადელბურგის კალმის ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია. განთავისუფლებული მონები! არ იფიქროთ, რომ ეს მონები შავკანიანი ზანგები იყვნენ, ან ძლიერი სახელმწიფოს მიერ დაპყრობილი რომელიმე სუსტი ერი, ან კიდევ ძველ რომაელთა მონები და სხვ. განთავისუფლებული მონები გახლავთ ჩვენი დროის... ქმრები, რომელთაც მიაგნეს საშვალებას კანონიერი გზით თავი დაეხწიათ ცოლქმრობის უღელისაგან და თავიანთ მეუღლეებს გაეთიშნენ. სწორეთ აქ, აქ გარემოებაში, იბადება მრავალი კომიკური მდგომარეობა და სურათი, და ავტორი თავისებური ოსტატობით სარგებლობს ამ სახუმარო მასალით. ს.ნამ ცოლ-ქმართა გაყრის კანონიერი საშვალება გამოინახებოდა, მთელი საზოგადოება პირმოთენებდა, ვითომ მალლა აყენებდა თანამედროვე ქორწინების პრინციპს, მაგრამ, რა წამს გამოჩნდა „საპატიო“ მიზეზი, ეს გუშინდელი „ერთგული“ ქმრები და ცოლები თავქუდ მოგლეჯილი გაიქცენ თავიანთ ოჯახებიდან. ქმრებიც და ცოლებიც ცალ-ცალკე ბინავდებიან, სასტუმროში, და იწყება ნამდვილი კომიზმით აღსავსე „დიპლომატიური“ მოლაპარაკება „მტერთა“ ბანაკებს შორის. დაბოლოს, რა თქმა უნდა, მყუდრო ბინას და თბილ კერას მიჩვეული „მტრები“ ველარ იტანენ ცალ-ცალკეობას და ყოველივე რიგიანათ თავდება. კვლავ „იმარჯვებს“ ქორწინების პრინციპი.

**სამხატვრო საღამო** ხუთშაბათს, 1 ნოემბერს, ჩვენი დასის მიერ გაიმართება პირველი სამხატვრო საღამო, რომლის მზადებას შეუდგა

კიდევ დასი. საღამოს პროგრამა მრავალ ფეროვანია: უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ამ დღეს სცენაზე წარმოდგენილ იქნება დავ. კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“. ეს პირველია ჩვენში მოთხრობის სცენაზე დადგმის ცდა და თუ ამ პირველმა ცდამ რიგიანათ ჩაიარა და საზოგადოებაც დააკმაყოფილა, ჩვენი თეატრის მეტაურებს გადაწყვეტილი აქვთ, სხვა ჩვენი მწერლების ცნობილი მოთხრობებიც გადაიტანონ სცენაზე. გარდა „სამანიშვილის დედინაცვალისა“ წარმოდგენილი იქნება თავუნას ახალი შარები „ლალატიდან“ და სამშობლოდან“. გაიმართება აგრეთვე „სასიამო საუბარი“ სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო კითხვებზე სცენასა და პარტერს შორის. „რაჭველი მეტეირე“ დაუკრავს სტივოს და დაამღერებს სადღეისო შაირებს. გაიმართება „სინემატოგრაფი“ (შარჟი-პაროდია). აჩვენებენ „სამონოპოლო ტრაგედიას“, რომლის დროს დაუკრავს „საკუთარი უსიმო ორკესტრი“. მაყურებელთ წარედგინებათ გამოსაცნობათ შარადები და ამოცანები. ყველაზე ძნელ შარადის ამომცნობს ჯილდო დაენიშნება ია სხვ. და სხვ.

## თეატრის ხრონიკა.

26 ოქტომბრიდან დაიწყო მეცადინეობა ქართულ დრამატიულ კურსებზე. ლექტორებათ მოწვეულნი არიან: ბ. აღექი—მესხიშვილი, ვ. ლამბაშიძე, ვ. გუნია, გ. დიასამიძე, ნ. დუბროვსკი, ე. იგნატიევი, ნ. ქართველიშვილი, დ. კილოსანიძე, ს. კაკაბაძე, ი. ნიკოლაძე, გ. ნათაძე, ლ. ოვერლო, და მ. წულუკიძე.

— 27 ოქტომბერს, ჩვენ თეატრში გაიმართება „ილიას საღამო“, „საღამო“ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან წელს სრულდება 75 წელი დიდებული მგოსნის დაბადებიდან.

— 27 ოქტომბერს, ილიას საღამოს მართავს დ. ზესტაფონში, ადგილობრივი წ. კ. გ. ს. განყოფილება; საღამოს შემოსავალი, მოხმარდება თეატრის შენობის აგებას.



— როგორც ზესტაფონიდან გვწერენ, უკვე შესდგომიან თეატრის შენობის ასაგებ ფულის შეგროვებას. ვისაც გული შესტკივა ამ საქმისთვის და დახმარების აღმოჩენას მოისურვებს, მიმართოს დაბა ზესტაფონის წ. კ. გ. ს. განყოფილების გამგეობის წევრს პ. კიკნაველიძეს.

— ზესტაფონის ინტელიგენტ ვაქარს, გ. სიხარულიძეს, ათი თუმანი შეუწირავს თეატრის ასაგებათ.

— ბათუმის დასს, წარსულ კვირას სრული შემოსავალი ჰქონდა. ასე რომ დასის საქმე თან და თან უმჯობესდება.

— რეჟისორმა მ. ქორელმა—ქორიძემ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მისის რედაქტორობით გამოიცეს თეატრისათვის სპეციალური ეჟურნალი „ჩვენი თეატრი“.

— ქუთაისის დასი ამზადებს ახალ პიესას— „სამშობლო და სიყვარული“, რომელიც ამ უამათ საცენზურო კომიტეტშია გაგზავნილი.

— თეატრის ადმინისტრაცია დაბეჯითებით ითხოვს, რომ პარტერში ყველამ ბილეთებში აღნიშნული ადგილები დაიკავონ.

— თბილისის რუსული დრამა მართავს მეორე წარმოდგენას ორშაბათს, 29 ოქტომბერს. წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა ინტენდანტთა ცხოვრებიდან „Пески сыпучие“.

— ბათუმის რუსული დრამა თამაშობს ოთხშაბათს, 31 ოქტომბერს. წარმოდგენილი იქნება „Боевые товарищи“. ამ პიესის შინაარსი აღებულია რუსეთის და იაპონიის ომის დროიდან.

### შოთა რუსთაველის სურათი.

სუსხი სდვას შემოდგომისა,  
 დღე არ ანათებს მზიანი,  
 წალკოტში ვარდნი დამკნარან  
 და კორდზე—ნაზი იანი,  
 ხეთ გაცვიენიათ ფოთოლნი,  
 ფერი უცვლია მდელოსა...  
 ბუნება დამზავსებია  
 დაჩაგრულ საქართველოსა!

ქარი კი დაჰქრის, სისინებს,  
 ტყე კენესის, მოწყენილია,  
 მას ჩემი გულიც ბანს აძლევს,  
 მასავით დაღვრემილია.  
 მაგრამ... ჩუ! აგერ იმედის  
 ღმერთი მეწვია ძლიერო,  
 ოცნებას ფრთები შეასხა,  
 სევდას გაუქრო იერი;  
 კაცობრიობის იმედის  
 გადამიშალა რვეული,  
 და თვალ-წინ წამომიყენა  
 ყველა, ვინცაა რჩეული.  
 და, აჰა, აგერ მათ შორის  
 შენც გხედავ სახე მზიანო  
 და მინდა გითხრათ რასაც ვგრძნობ  
 უკვდავო ადამიანო:  
 შენ ღიდება ხარ ქვეყნისა,  
 დაუშრეტელი გენია;  
 ახლაც ტალ-კვესობ იქ, სადაც  
 მიდამოს ბნელი ჰფენია!..  
 ვინც რომ შენ გშობა, აღზარდა,  
 მრწამს, უკვდავია ის ერი;  
 დღეს თუ დაეცა, კვლავ  
 შეკვრეთით  
 აღსდგება სულით ძლიერო!  
 ჩახრუსხამ.

### შემოდგომა.

ზეცა მტრულად გადმოგვეუღრებს, შავი ღრუბ-  
 ლით შემოსილა,  
 შიშის ზარს სცემს ჩაგრულთ უბანს შემოდგო-  
 მის ცივი დილა;  
 მდელი მწვანეთ მომღიმარი, ფერსა იცვლის  
 მიბნედილა,  
 აღარ რჩება დაუტკნობი არც შრომანი არც  
 ბილილა.  
 შავი ზამთრის მოლოდინში,  
 ორკეცდება გლოვა—ვიში.  
 მთა ამაყი—ბუმბერაზი, ბნელი ძაძით დათალ-  
 ხულა.



მის მწვერვალზე ნაგლეჯებათ დასკურავენ  
ღრუბელთ ქულა;  
ტყე გაძრცვნილა ფოთლებისგან, არ შრია-  
ლებს განაბულა,  
დაღრიალებს ცივი ქარი ობოლ ყლორტებს  
ამსხვრევს მტრულა.

და ამგვარად კენესის ყველა,  
არსაით ხსნა, არსით შველა.

ას.-ამ. მაიდნელი.



დ. ჩარკვიანი.

### კორესპონდენციები.

მოსკოვი. საკუთარი კორესპონდენტისგან.

წინა წერილში ჩვენ სხვათა შორის გა-  
კვრით მოვიხსენიეთ, რომ „სამხატვრო თეატ-  
რის“ წარმომადგენელთა შორის იმყოფება ორი  
ჩვენი თანამემამულე: კ. მარჯნოვი და ვ. მჭე-  
დლიშვილი. რა თქმა უნდა, ფრიად სასიამოფ-  
ნო და საამაყო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს,  
რომ ისეთ განთქმულსა და ქვეყნის თვალსა-  
ჩინო დაწესებულებაში, როგორცაა მოსკო-  
ვის სამხატვრო თეატრი, ქართველებსაც შეუ-  
დგამთ ფეხი და არა თუ ფეხი შეუდგამთ,  
მოწინავე რაზმშიც კი დამკვიდრებულან. კიდევ  
მეტ სიამოვნებას იგრძნობს ჩვენი გული, რო-  
ცა მოვიგონებთ, რომ გარდა ამ ორი მაგალი-  
თისა კიდევ ყოფილა და არის არა ერთი,  
როცა ქართველს რუსეთში თავი უსახელებია  
და იშვიათი სახელი მოუხვეჭია: თავ. სუმბათა-

შვილი—იუჯინი, განსვენებული თარხნიშვი-  
ლი და სხვანი აშკარათ ამტკიცებენ, რომ ქა-  
რთველებს შეუძლიათ მეცნიერების და ხელო-  
ვნების სათავეში დგომა, შესწევთ შემოქმედე-  
ბის უნარი... მაგრამ ჩვენი სიამოვნება ფიც-  
ხლავ კრთება და თითქმის ჰქრება კიდევ, რო-  
ცა მოგვაგონდება, რომ ყველა ეს თარხნიშვი-  
ლები, სუმბათაშვილები და მარჯნიშვილები,  
ჩვენები სისხლით და ხორციით, დაბადებით  
და ჩამომავლობით, მოსწყვეტიან თავიანთ ქვე-  
ყანას, გადახვეწილან უცხოეთში და იქ ხარ-  
ჯავენ ჩვენში დაყოლილს ნიქსა და ღნარს;  
და აი ჩვენ მხათ ვარა წყვეა კრულვა შეუ-  
თვალთ „გადამდგარ“ ქართველებს, „მოღალა-  
ტეები“ და „გადაგვარებულნი“ ვუწოდოთ და  
ამით გული მოვიოხხოთ! მართალია კი ეს ჩვე-  
ნი აღშფოთება და გულის ყწრომა? დაიმა-  
ხურეს კი ჩვენი გაკიცხვა და ლანძღვა-გინება  
სხვაგან წასულმა ქართველებმა? რა თქმა უნ-  
და, არა. ჩვენი საყვედურის ყოვლად უსაფუ-  
ძვლობას და უსამართლობას აშკარათ დავინა-  
ხავთ, თუ ერთი წუთით წარმოვიდგენთ, რომ  
ყველა ზემოთ დასახელებული ქართველნი იმ-  
თავითვე სამშობლოში დარჩენ, აქ დაიწყეს  
თავისი მოღვაწეობა და აქვე განაგრძობენ მას.  
რა იქნებოდა მაშინ? რა იქნებოდა და ის,  
რომ თარხნიშვილი, იუჯინიც და სხვანიც  
იქნებოდენ ის, რაც არიან ჩვეულებრივი  
ჩვენი „მოღვაწენი“ და იმის მჭათსედ.  
საც ვერ გააკეთებდენ, რის გაკეთებაც იქ,  
ჩვენგან შორს, შეუძლიათ. სამწუხაროთ, უნ-  
და შეურიგდეთ იმ აზრს, რომ ჩვენში ვერც  
თარხნიშვილის და ვერც სუმბათაშვილის ნი-  
ქი ფრთას ვერ გაშლიდა, ვერ იპოვიდა ისეთ  
პირობებს, რომ სავსებით გაეფითარებია შემო-  
ქმედების უნარი. ჩვენს დალოცვილ სამშობ-  
ლოში ისეთი უკუღმართი მუშაობის პირობე-  
ბია, ისე ღარიბი და უფერულია სამეცნიერო,  
სახელოვნო და საზოგადოთ კულტურული  
ცხოვრება, რომ არა ერთი და ორი ნამდვილი  
ციური ნაპერწკალი ჰქრება, არა ერთი ნიქი  
იზნობა, ყოველსავე მოღვაწეს, რომელსაც ძა-  
ლაც შესწევს მუშაობის, ცოდნაც აქვს და ნი-



ქიც, ისეთი რამ გადაეღობება ხოლმე გზაზე, ისეთი უბადრუკი მიზეზი შეუშლის ხანდახან ხელს, რომ პირდაპირ შეუძლებელი ხდება მუშაობა და მოღვაწეობა. ერთი მიბრძანეთ, რა უნდა გაეკათებიან თუნდ იმავე კ. მარჯანიშვილს ქართულ სცენაზე რომ დარჩენილიყო? სად უნდა ენახა ან დახმარება, ან გამხმნელება ან ნივთიერი სარგებლობა თავის რეჟისერულ იდეების გასახორციელებლათ? ვინ შეუწყობდა ხელს? ვინ მოუშხადებდა ნიადაგს? არავინ! მაშ, განა შეიძლება უსაყვედუროთ მას ან სხვას, მის მაგვარს, სამშობლოდან წასვლა და სხვაგან მუშაობა? შეიძლება ვლანძლოთ კაცი მხოლოდ იმისთვის, რომ მან არ ჩაიქრო და ჩაიხშო ნიჭი, არ ჩაიკლა თავის საუკეთესო მისწრაფებანი, არ დაეცა და გაშაბლონდა, არამედ თავი დაახწია ხელის შემშლელ პირობებს და გაჰყვა ბოლომდე წმინდა მოწოდებას? ნიჭი ისეთი რამ არის, რომ ერთნაირათ კიდევ ატყვევებს და იმონებს ნიჭიერ ადამიანს და ვალად სდებს ანგარიში გაუწიოს მას. მაშასადამე ჩვენ კი არ უნდა უსაყვედურებდეთ და ვკითხავდეთ რუსეთში წასულ ცნობილ ქართველებს, პირიქით, უნდა ვუმადლოდეთ კიდევ მათ, რადგანაც მათ მიერ გაკვლეული ახაფი გზა და ახალი აზრები მათშივე ჩაკვდებოდა და ვერც ჩვენ გავიზიარებდით, აქ რომ დარჩენილიყვენ. სულ სხვაა ბრძოლა იმ პირობათა წინააღმდეგ, რომელნიც აიძულებენ ჩვენებურ ნიჭიერ ხალხს სამშობლოდან უცხოეთს გაქცევას და სხვაგან მუშაობას. ყოველი ჩვენგანი ვალდებულია ჩაებას ამ ბრძოლაში და მონაწილეობა მიიღოს ამ უბადრუკ პირობათა მოსპობაში.

სევდა.

# სიმართლე.

მარტი 1 მოქმ. მ. ლიბერმანისა  
თარმანი მ, ქორელისა

მომქმედნი:

- ჯადო შავბედაძე მახეკე
- ნინო, მისი ცოლი.
- ანდრია, ჯადოს მისწევი.
- ბაბაქე, ნინოს დედა.
- ნიკოკია.
- სამანკა, 32 წ.
- გოგია.

ჯადო შავბედაძის. სსსტუმროთ თათხი. სამი კარაი.  
ანდრია. (ძლივს გამოეტევა შვა კარებში

თითო ხელში თითო ჩემოდანი აქვს, (ღლიაში ქოლგა და ჯოხი, მხრებზე შალი, ქუდი ახურავს და კალოშები აცვია) არავინ სჩანს! რა-ლა ვქნა?

ლადო. ვა! ანდრია! საიდან სადაო?

ანდრია. აი საქმე რაშია: აქაურ გიმნაზიაში ვადმომიყვანვს მათემატიკის მასწავლებლად... მაგრამ დაიცა. კარგად გაგსინჯო... ეე, დაბერებულხარ, ბიძია, დაბერებულხარ, ძალიან მოხუცებულხარ... მაგრამ მაინც არ ცხრები იახალგაზრდავებ თავს. ულვაშებს იღებავ, ფერადი ქილეტი გაქვს, ქრელი ყელსახვევი... ვერ გიშველის, მაინც ბებრუხანა ხარ...

ჯადო. ჰმ... შენი პირველი სალაში არც თუ ძალიან ზრდილობიანი და სასიამოვნოა...

ანდრია. დაიცა... გაენთავისუფლდე ცოტათი. საქმე აი რაშია... სამი წელია ერთმანეთი არ გვინახავს, ერთი გადახვევა ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ როგორც ვხედავ, შენ ულვაშს იღებავ, საღებავი კი საწამლაფი რამეა ხოლმე...

ჯადო. რას ჩააცვიდი ამ ჩემს ულვაშს...

ანდრია. ამიტომ მხოლოდ ხელის ჩამორთმევით უნდა დავკმაყოფილდეთ... გამარჯვება, ძვირფასო ბიძია... გამარჯვება... ძალიან, ძალიან მიხარია შენი ნახვა... ბიცოლა როგორღაა?

ლადო. გამარჯვება, ანდრია, გმადლობ! ძლივს არ ამოიღე ხმა ადამიანურად!

ანდრია. მე ყოველთვის ადამიანურად ვლაპარაკობ; თუ ის არ გესიამოვნა, რომ შენს სიბერეს და შეღებილ ულვაშებს შევებე...

ლადო. კიდევ!.. ეს ხომ უზრდელობაა!

ანდრია. ...ეს იმიტომ არის, რომ ადამიანები ერთმანერთს არასოდეს სიმართლეს არ ელაპარაკებიან, ყოველთვის სიცრუეს ამბობენ... იცი, ბიძია, მე ერთი თეორია გამოვიგონე: ამ თეორიას „სიმართლე“ ქვიან...

ლადო. ამ შენი თეორიის რომელიმე მუხლის ძალით თუ შემოიქტერი აქ, სასტუმრო



ოთახში, პალატოთი, ჩემოდნებით ღ კალოშებით? ანდრია: არა, ჩემი თეორია აქ არაფერ შუაშია... ეს სულ უბრალო საქმეა: შემოსასვლელი კარები ღიათ გაქვს დატოვებული, მაშასადამე ყველას, ვისაც კი არ დაეზარება, შეუძლიან თავისუფლად შემოვიდნენ და ყველაფერი მოიპაროს, პალატოც, კალოშებიც ჩემოდნებიც...

ლადო. ეხლანდელი მოსამსახურე დაღახვროს ღმერთმა... გაიჩენს საყვარლებს და არასოდეს შინ არ დაჯდება... წავალ მოვნახვებ...

ანდრია. დაიცა... ჯერ ჩემი თეორია უნდა გაგაცნო... მიყურებ... იმისათვის რომ აქვე დედამიწაზე სასუფეველი დავამკვიდროთ, ღეონ ტოლსტოისაც აქვს თავისი თეორია, მაგრამ, როგორც მოგეხსენება, პრაქტიკულად ძნელი შესასრულებელია. მე ჩემი თეორია მაქვს. სულ უბრალოა და პირდაპირ მიზნისაკენ მიყავს... მისი დედა აზრი ეს არის: ადამიანებმა ყველგან და ყოველთვის მხოლოდ სიმართლე უნდა თქვან... მაშინ ადვილად და სულ მოკლე გზით მივალწვეთ კაცობრიობის ბედნიერებას. ეს ქეშპარიტება სულ უბრალო ასახსნელია. ავიღოთ მაგალითად შენი ულვაშები.

ლადო. კიდევ!.. მოწყდი ერთი ამ ჩემს ულვაშებს, დუ ღმერთი გწამს, რას ჩააცივდი, არ ვიცი.

ანდრია. მოიცა... ნუ შემაწყვეტინებ... მიშლი... აზრს მიანგვ... რას ვამბობდი? ხო, ხო შენ ულვაშებს იღებავ... რისთვის? იმისთვის რომ სხვის თვალში ბევრად უფრო ადარგაზნა გამოჩნდე, ვიდრე ნამდვილად ხარ, ან იმისათვის, რომ ქალებში უფრო მეტი ფასი გქონდეს; განვაგრძოთ. ამნაირი საქციელით შენ სიცრუეს სჩადიხარ... ჯერ მხოლოდ შენ ცრუობ... ეხლა შედეგს უყურებ: ყველა შენი ნაცნობი ხედავს შენ შელებილ ულვაშებს, მაგრამ ისე უქირავთ თავი, თითქოს ვერაფერს ხედავდნენ. ე. ი. ამნაირის საქციელით ყველა თითქოს გარწმუნებს, რომ შენ მართლაც ყმაწვილი ხარ, თუმცა ყველამ აშკარად იცის, რომ ნამდვილად ბებერი ხარ. რა გამოდის? დაუსრულებელი სიცრუე, სიყალბე, არავისათვის საქირო, არავისათვის გამდსადეგი. მე

კი პირდაპირ ვიტყვადი, რომ შენ ულვაში შელებილი გაქვს.

ლადო. კარგი ერთი, გეყოფა! თავი მომაბეზრე. ერთი ეს მითხარი, აქ რომ ჩამობრძანებულხარ, რა საქმე გაქვს.

ანდრია. ეხლავე გიპასუხებ. ოთახი უნდა მოვძებნო ჩემთვის. ოთახის ძებნაში ერთი ან ორი კვირა გაივლის, ხარჯს გამოიწვევს... ავიღე და პირდაპირ შენთან მოველი. ის კი არ იფიქრო, რომ შენთან ცაბინავება და მუქთად ცხოვრება მინდოდეს! არა! მე კარგად ვიცი შენი ნივთიერი მდგომარეობა. დღეში ში მან. მოგცემ. ეს ცოტა არ არის, იზარალებ კი არა, ჩამორჩები კიდევ. რაც მე შემეხება — სასტუმროში ცხოვრება ბევრად უფრო ძვირად დამიჯდება. ეს ერთი, მეორე ის, რომ მართლაც ცხოვრება მოსაწყენია, მესამე — სასტუმროდან გადასვლის დროს მოსამსახურეებს ერთი თუმანი მაინც უნდა დავურიგო საჩუქრად... აქ კი ყველა ეს არ დამქირდება... ამიტომაც ავიღე და დროებით შენთან დაბინავება გადავწყვიტე...

ლადო. არა, რატომ, ეს ადვილი მოსახერხებელი იქნებოდა... სულაც დაგაყენებდი ჩემსა. ოთახიც მაქვს მშვენიერი... მაგრამ ამ ოთახში ეხლა ის ეშმაკის კერძია დაბინავებული.

ანდრია. ეშმაკის კერძი?

ლადო. სიდედრია, სიდედრი, ღმერთმა იმას არც სააქაოს და არც საიქიოს მოსვენება არ მისცეს, მესამე თვეა ჩამომისახლდა, სამასი სახარება გაუწყურეს, არ იქნა, ვერაფრით ვერ ველირსე იმის წასვლას. აი ეხლა სიამოვნებით ნამდვილ სიმართლეს გეტყვი. მომაბეზრა თავი უღმერთოდ. სასაქმებელ ზეთზე უარესათ მოქმედობს ჩემზე, სიამოვნებით ამოგკრავდი ჰანღურს: ცხრა მთას იქით გადავაგდებდი; მაგრამ... მაგარი ის არის, რომ მდიდარია, უღმერთოდ მდიდარა. ჩვენ კი, მე და ჩემი ცოლი ერთად ერთნი ვართ მისი მემკვიდრენი. მოდი და ნუ მოითმენ ამ ჯოჯოხეთის მაშხალის აქ ყოფნას. შენ რაღა გიყო — არ ვიცი ღმერთმანი. მოიცა... ჩემს კაბინეტში მოგათავსებ... ერთი ძველი ტახტი მაქვს... ცოტათი ვიწროდ იქნებით, მაგრამ



თ 391 ა  
1912

არა უშავს... გოგია! გოგია, ბიჭო! არ მოდის, დე, მაინც არ უიყობს ის მკვდარძალი. წავალ  
უყურე იმ ლაწირაკს... ზღიე ეხლა იმას... აი მოვეძებნი... ეხლავე მოვალ... (გაღის)  
დალახვროს ღმერთმა... კიდევ იმ გოგოებში (შემდეგი იქნება)  
იქნება... არა, თითონ რასა ვაგს, რომ იცო-

ქ. ქუთაისში

ფირმა. არსებ. 1865 წ

ჭურჭლების სანათების და ავეჯის მაღაზია

იოსებ სჯეფანეს-მე

# მამაჯანოვისა

მიღებულია დიდძალი: ვენური მარხილი, სუფრის ყოველგვარი და ბამბუკის ავეჯეულობა, ფარფორის და ფაიანსის ჭურჭლეულობა, რუსეთისა და საზღვარ-გარეთიდან მოტანილი სანათები, ემაღ გამოვლენული, თეთრი ალიუმინის, ნიკელის და სპილენძის ქვაბები, სამოვრები, ნავთის სამზარეულოები, საუკეთესო ქარხნიდან მოტანილი ლოგინები, სარკეები, მარმარილოს პირისაბანები, სასუფრე კლიონკები და სხვადასხვა ყოველგვარი საოჯახო ნივთები ფასები ჩვეულებრივზე დაკლებულია.

→ უსრნალ-გაზეთის კანტორა →

## „ივერეთი“

კუთისში

აუწყებს მკითხველ საზოგადოებას რომ იგი ყოველ დღე **ღეულოვს** კავკასიის ყველა **ქრთულ, რუსულ, სომხურ** და უფრო გავრცელებულ **სატახტო უსრნალ-გაზეთებს** და ყიდის კანტორაში (ბულვარის პირდაპირ) **სარედაქციო ფასებში**.

კანტორაში იყიდება აგრეთვე ყოველგვარი ქართული წიგნები და **მიიღებენ ხელის მოწერა**

წინასწარ ხელის მოწერით გამოსაცემ წიგნებზე.

კანტორა **ბანაზრძობს** ხელის მოწერას **ილია ჭავჭავაძის** თხზულებებზე და მონაგონებს თავის ხელის მომწერლებს შემოიტანონ მეორე ხვედრი ილიას წიგნზე ხელის მოწერისა

ელექ. მბეჭ. ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში. გამომცემელი ალ. იმედაშვილი

